



საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #088/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ადოკატები მონაწილეობდნენ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეზე და იცავდნენ ამ საქმეში მონაწილე სხვადასხვა ბრალდებულის ინტერესებს. ერთ-ერთი ადოკატი სხდომიდან გაამევა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. კლიენტმა დააყენა შუამდგომლობა გაძევებული ადოკატის სხდომაზე დაბრუნების შესახებ, მოსამართლის აცილების შესახებ და ამავე სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების შესახებ. პროცესში მონაწილე სხვა ადოკატებმა კლიენტის მიერ გაკეთებულ შუამდგომლობებს მხარი არ დაუჭირეს. ერთ-ერთმა ადოკატმა მხარი დაუჭირა ბრალდების მხარის შუამდგომლობას მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ. ბრალდებულის ადოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას აღნიშნული ადოკატის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, რათა მიიჩნია, რომ ადოკატი მოექცა უპატივცემულოდ, რაც გამოიხატა მისი დაცვის ქვეშ მყოფის წარდგენილი შუამდგომლობების მხარდაჭერაზე უარის თქმაში.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიამ არ დაიწყო დისციპლინური დევნა, ვინაიდან მიიჩნია, რომ არ არსებობდა ადოკატის მხრიდან სავარაუდო გადაცდომა.

სამართლებრივი შეფასება

საადოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგას. ადოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის დაცვას და არ შეესაბამება კოლეგის სტრატეგიას. ადოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას იღებს გადაწყვეტილება სხვა ადოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე. ადოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას. განსახილველ შემთხვევაში, ადოკატის ქმედებები და გადაწყვეტილებები, როდესაც მან მხარი არ დაუჭირა ბრალდებულის შუამდგომლობებს მისი კოლეგის დარბაზში დაბრუნების, მოსამართლის აცილების და სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების შესახებ, მოტივირებული იყო კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მიზნად არ ისახავდა მეორე ადოკატის დაცვის ხელშეშლას.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა კოლეგიალობის პრინციპით და არ დაადგინა მოპასუხე ადოკატის ეთიკური გადაცდომა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c4166eece9.pdf/5c4c4166eece9.pdf>